ემა გოლდმანი

EMMA GOLDMAN

ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

ANARCHISM, ATHEISM, FEMINISM

1910

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Second Revised Edition. New York-London:
Mother Earth Publishing Association, 1911

თარგმანის ნაწილი შესრულებულია ქართული ანარქისტული
ბიბლიოთეკის მთარგმნელების მიერ და აღებულია
ვებ-გვერდიდან: a-library.org

მთარგმნელები: გია ბერაძე, დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორები: ნინო შონია, თინათინ გეგენავა
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე შევსებული გამოცემა, 2022

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4619-9

სარჩევი

ემა გოლდმანის ბიოგრაფია 5
პირველი მაისის ისტორია 13

ემა გოლდმანი
ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

პირველი მაისის მოვლენების შესახებ 21
დამოუკიდებლობის ახალი დეკლარაცია 27
დურუტი მოკვდა, მაგრამ მაინც ცოცხლობს 30
ანარქია 37
ათეიზმის ფილოსოფია 54
პატრიოტიზმი – საფრთხე თავისუფლებისთვის 61
ანარქია და გენდერული საკითხი 74
    დამნაშავე სისტემაა 75
    ბოროტებისგან განკურნება 76
    ანა-ანარქისტის ოცნება 76
    გაყრა 78
ქორწინება და სიყვარული 79
ქალებით ვაჭრობა 92
ქალთა საარჩევნო უფლებები 110
ტრაგიკული ქალის ემანსიპაციაში 127
უმცირესობა უმრავლესობის წინააღმდეგ 139
პოლიტიკური ძალადობის ფსიქოლოგია 151
საპატიმროები: სოციალური დანაშაული და წარუმატებლობა 180
პურიტანობის ფარისევლობა 198
თანამედროვე დრამატურგია:
რადიკალური აზროვნების მძლავრი გამავრცელებელი 209

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 243-245

ემა გოლდმანის ბიოგრაფია

ჯეი ედგარ ჰუვერის,[1] FBI-ს პირველი დირექტორის მიხედვით „ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ინდივიდის“, ლეგენდარული ანარქისტის, ემა გოლდმანის, მოკლე ბიოგრაფია.

ემა გოლდმანი დაიბადა 1869 წელს რუსეთში, ებრაულ გეტოში, სადაც მის ოჯახს პატარა სასტუმრო ჰქონდა. როცა ის 13 წლის იყო, ოჯახი სანქტ-პეტერბურგში გადავიდა. ეს პოლიტიკური რეპრესიის პერიოდი იყო, ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდგომი. ებრაელ ხალხს ხშირად არბევდნენ. სანქტ-პეტერბურგში ექვსი თვის გატარების შემდეგ, ემა გოლდმანს სკოლის დატოვება და ქარხანაში მუშაობა მოუწია მძიმე ეკონომიკური გაჭირვების შედეგად.

1. ჯეი ედგარ ჰუვერი – 37 წლის განმავლობაში, სიკვდილამდე აშშ-ს ფედერალური ბიუროს დირექტორი. ცხოვრების ბოლოს და სიკვდილის შემდეგ ჰუვერი სადავო ფიგურა გახდა, რადგან შუქი მოეფინა მის მიერ ძალაუფლების გადამეტების შემთხვევებს. მათ შორის აღსანიშნავია ე.წ. COINTELPRO, უკანონო პროექტთა მთელი რიგი, რომლის მიზანიც იყო, ძირითადად, მემარცხენე ორგანიზაციების დისკრედიტაცია და განადგურება.

გოლდმანი სწორედ აქ გაეცნო ჩერნიშევსკის[2] ნოველას „რა უნდა გაკეთდეს“, რომელშიც მთავარი გმირი ვერა ნიჰილისტი ხდება და ცხოვრობს სქესთა შორის თანასწორობისა და კოოპერატიული შრომის სამყაროში. ეს წიგნი წარმოადგენდა გოლდმანისეული ანარქიზმის ჩანასახს და ასევე, განამტკიცა მისი შეუპოვრობა, ეცხოვრა ისე, როგორც თავად სურდა.

15 წლის ასაკში მამამისმა სცადა, რომ დაექორწინებინა, მაგრამ მან იუარა. საბოლოო შეთანხმება ის იყო, რომ ურჩი ბავშვი ამერიკაში წასულიყო ნახევარდასთან, შემდეგ კი შეუერთდებოდნენ კიდევ ერთ დას როჩესტერში. გოლდმანმა მალევე გაიაზრა, რომ ებრაელი ემიგრანტისთვის ამერიკა არ იყო შესაძლებლობების ის ქვეყანა, რომელსაც ჰპირდებოდნენ. გოლდმანისთვის ამერიკა ნიშნავდა ჯურღმულებს, სადაც პურის ფულს მკერავად მუშაობით შოულობდა.

ის, რამაც გოლდმანი პირველად ჩაითრია ანარქიზმში, იყო აღშფოთება, რაც მოჰყვა 1886 წელს ჩიკაგოში ჰეიმარკეტის მოედანზე[3] დატრიალებული ტრაგედიას – როცა რვა საათიანი დღისთვის მუშათა მიტინგისას ისროლეს ბომბი პოლიციელთა მისამართით. საბოლოოდ, ოთხი ანარქისტი ჩამოახრჩვეს. მათ განაჩენი უკიდურესად უსაფუძვლო მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოუტანეს. მოსამართლემ გულახდილად გამოაცხადა, რომ ისინი იმიტომ გახლდნენ სამსჯავროზე, რომ ანარქისტები იყვნენ და არა იმიტომ, რომ ჰეიმარკეტის დაბომბვა გამოიწვიეს.

ემა გოლდმანი ამ მოვლენას აქტიურად ადევნებდა თვალს და ჩამოხრჩობის დღეს გადაწყვიტა, რომ რევოლუციონერი გამხდარიყო. ამ დროს გოლდმანი 20 წლის იყო, რუს ემიგრანტზე

2. ნიკოლაი ჩერნიშევსკი – რუსული ლიტერატურული კრიტიკოსი, ჟურნალისტი, ნოველისტი და სოციალისტი ფილოსოფოსი. გავლენიანი ინტელექტუალური ფიგურა 1860-იანების რუსულ რევოლუციურ მოძრაობაში.

3. ჰეიმარკეტის საქმე, იგივე ჰეიმარკეტის აჯანყება – 1886 წლის 4 მაისს მშრომელთა დემონსტრაციისას მომხდარი აფეთქების შემდგომი მოვლენები. რვა ანარქისტს დაბრალდა შეთქმულება. მტკიცებულება ის იყო, რომ ერთ-ერთ ბრალდებულს, შესაძლოა, შეექმნა ბომბი, თუმცა სასამართლოზე მყოფ არცერთ მათგანს არ უსვრია ის.

პირველი მაისის ისტორია

დღეს ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, თუ რატომ აღნიშნავენ ანარქისტები პირველ მაისს. ისტორიული ექსკურსი საინტერესო იქნება, არა მარტო როგორც მონაყოლი, არამედ როგორც გაკვეთილი, რომელსაც აუცილებლად გაიაზრებენ თავისუფლებისა და ღირსების მოყვარე ადამიანები.

სულ რაღაც 100 წლის წინ ამერიკა სულაც არ წარმოადგენდა ე.წ. „ამერიკული ოცნების“ ქვეყანას. 1880 წელს საყოფაცხოვრებო მინიმუმი შეადგენდა დაახლოებით 750 დოლარს წელიწადში, ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანის წლიური ხელფასი კი 300 დოლარს. ამასთან ერთად, სამუშაო დღე გრძელდებოდა 11-12 საათს, ხშირ შემთხვევაში 15 საათსაც კი. ყოველი მეექვსე ბავშვი მუშაობდა ინდუსტრიაში და იღებდა უფროსის ხელფასის ნახევარს იმავე საქმის გაკეთებისთვის. მშრომელთა უფლებების დაცვაზე არავინ ფიქრობდა.

ეს მონაცემები ამოღებულია აშშ-ს კონგრესისთვის შრომის სტატისტიკის ბიუროს მოხსენებიდან. მოხსენების ბოლოს ნა-

თქვამია: „ადამიანები უნდა კვდებოდნენ იმისთვის, რომ ყვაოდეს ინდუსტრია“.

აღსანიშნავია, რომ მუშებს ადრეც ჰქონდათ თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლის მცდელობები, მაგრამ მშვიდობიანი აქციები და პეტიციები ხელისუფლების გაღიზიანებისა და სიძულვილის გარდა არაფერს იწვევდა. მეტიც, ამერიკელი ისტორიკოსი, ფ. ფონერი მოწმობს რომ: „მუშების ცემა პოლიციელების საყვარელ საქმიანობად იქცა. ხელკეტი ობიექტური იარაღია, ის ერთნაირად ურტყამს მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს“. პოლიციის ძალადობის საპასუხოდ მუშები ქმნიდნენ შეიარაღებულ თავდაცვით ჯგუფებს. პირველი ასეთი ჯგუფი ჩიკაგოელმა ანარქისტებმა 1875 წელს ჩამოაყალიბეს.

80-იანი წლების ამერიკაში ჩიკაგო მუშათა მოძრაობის აღიარებული ცენტრი იყო. ქალაქში მოქმედებდნენ შრომის რაინდების ორდენის სექციები, ამერიკულ პროფკავშირთა ფედერაცია, მუშათა სოციალისტური პარტია და სხვ. მაგრამ, ყველაზე მეტი გავლენა პროლეტარიატზე მშრომელთა საერთაშორისო კონფედერაციაში გაერთიანებულ ანარქისტებს ჰქონდათ. მათი ლიდერები გახდნენ ალბერტ პარსონსი[11] და ავგუსტ შპისი.[12] ბრძოლის მთავარ მეთოდად ისინი მიიჩნევდნენ „მუშების შეიარაღებული ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც იარაღით ხელში დაიცავდნენ თავიანთ თავს და მათ ვისაც თავის დაცვა არ შეუძლია“, მთავარ მიზნად კი – „ძალადობისა და ექსპლუატაციის სისტემის სრულ განადგურებას“.

ანარქისტების აქტიურობამ და უკომპრომისო ბრძოლამ მუშების სიმპათია გამოიწვია. მარტო 1883 წლის განმავლობაში სოციალისტური მუშათა პარტიიდან, მშრომელთა საერთაშორისო ამხანაგობაში გადავიდა 1500 ადამიანი. მათ მოახდინეს აშშ-ს დასავლეთით ფართომასშტაბიანი გაფიცვების ორგანიზება, ეხმარებოდნენ მუშებს და იბრძოდნენ მათ გვერდით.

---

11. ალბერტ რიჩარდ პარსონსი (1848-1887) – ამერიკელი სოციალისტი, ანარქისტული გაზეთის რედაქტორი, ორატორი და შრომითი აქტივისტი.

12. ავგუსტ ვინსენტ თეოდორ შპისი (1855-1887) – ამერიკელი რადიკალური შრომითი აქტივისტი და გაზეთის რედაქტორი.

ემა გოლდმანი

ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

პირველი მაისის მოვლენების შესახებ

იმ ღამით არ დამეძინა. მე კვლავ განვიცდიდი 1887 წლის მოვლენებს. იმ შავი პარასკევიდან 21 თვე გავიდა, როდესაც ჩიკაგოელები შეეგებნენ თავიანთ მოწამეობრივ სიკვდილს, მაგრამ ყოველი დეტალი კვლავ ნათლად მესახებოდა და მაღელვებდა ისე, თითქოს ეს ყველაფერი გუშინ მოხდა. მე და ჩემი და ამ ადამიანთა ბედით დავინტერესდით, როდესაც მათი სასამართლო მიმდინარეობდა. როჩესტერის გაზეთების ანგარიშები გვაღიზიანებდნენ, გვაცბუნებდნენ და გვაღელვებდნენ თავიანთი აშკარა, წინასწარ შექმნილი აზრებითა და შეხედულებებით. პრესის ულმობელობამ, მძაფრმა მუქარებმა ბრალდებულთა მისამართით, გვიბიძგა ჩვენ გავმსჭვალულიყავით თანაგრძნობით ჰეიმარკეტის მსხვერპლთა მიმართ. ჩვენ შევიტყვეთ როჩესტერში გერმანული სოციალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ, რომელთა სხდომის ადგილი კვირაობით იყო „Germania Hall“-ში. დავიწყეთ შეხვედრებზე დასწრება, ჩემი უფროსი და

სულ რამოდენიმეჯერ დაესწრო, მე კი რეგულარულად ვეს-წრებოდი. შეკრებები არც ისე საინტერესო იყო, თუმცა ისინი საშუალებას მაძლევდნენ გავქცეოდი ჩემს რუხ, როჩესტერულ არსებობას. ყოველი შემთხვევისთვის, იქ შესაძლებელი იყო მოგესმინა რამე ბევრად საინტერესო, ვიდრე საუბრები ფულზე, რაღაც საქმეებზე, და შეხვედროდი იდეების მქონე ადამიანებს.

ერთხელაც გავიგეთ, რომ კვირას ცნობილი ორატორი – სოციალისტი ნიუ-იორკიდან იოჰანნა გრაიე წაიკითხავდა ლექციას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება ჩიკაგოში. დანიშნულ დღეს დარბაზში პირველი მივედი. უზა-რმაზარი დარბაზი იყო გადავსებული აღელვებული ქალებითა და მამაკაცებით, კედლების გასწვრივ კი პოლიციელები იდგნენ. აქამდე არასოდეს არ ვყოფილვარ ასეთ დიდ მიტინგზე. ნანახი მქონდა მხოლოდ როგორ არბევდნენ ჟანდარმები სტუდენტურ შეკრებებს სანქტ-პეტერბურგში. თუმცა, ქვეყანაში, სადაც გარა-ნტირებულია სიტყვის თვისუფლება, უზარმაზარი ხელკეტებით შეიარაღებულების შემოჭრა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა მშვიდობიანი შეკრება, თავზარს მცემდა და ჩემში პროტესტს იწვევდა. კრების თავმჯდომარემ მალევე გამოაცხადა ორა-ტორი. იოჰანნა გრაიე ოცდაათს გადაცილებული იყო; ეს იყო ფერმკრთალი, ასკეტური შესახედაობის ქალბატონი, უზარ-მაზარი მოელვარე თვალებით. ის ლაპარაკობდა უდიდესი დამაჯერებლობით, მისი ხმა ცახცახებდა დაძაბულობისაგან. მისმა საუბრის მანერამ გამიტაცა. მე გადამავიწყდა პოლიცია, პუბლიკა და ყველა გარშემომყოფნი; ვხედავდი მხოლოდ შა-ვებში ჩაცმულ სუსტ ქალბატონს, რომელიც ხმამაღლა ადანა-შაულებდა იმ ძალებს, რომლებიც აპირებდნენ გაენადგურე-ბინათ რვა ადამიანის სიცოცხლე. მისი გამოსვლა ეძღვნებოდა მღელვარე მოვლენებს ჩიკაგოში. ორატორმა საუბარი დაიწყო საქმის ისტორიული მიზეზებით. ის ყვებოდა აჯანყებებზე, რომ-ლებიც მთელ ქვეყანაში 1886 წელს ხდებოდა, რომლის მონაწი-ლეებიც ითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს. მუშათა მოძრაო-ბის ცენტრი იყო ქალაქი ჩიკაგო, სადაც ბრძოლა მშრომელებსა და მათ მეპატრონეებს შორის იყო განსაკუთრებით დაძაბული

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
12. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
25. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – სიყვარულის ძალა
40. ოშო – რა არის მედიტაცია?
41. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

42. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
43. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

44. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
45. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

46. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
47. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

48. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
49. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
50. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
51. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

52. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
53. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

54. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
55. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

56. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
57. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
58. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

59. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
60. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
61. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

62. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
63. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
64. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე